571/4-1/21 2 26012021

571/4-1/21
26-01-2021

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

წერილის ნომერი: **24-2421041204**
თარიღი: **10/02/2021**
პინი: **4889**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 26 იანვარს შემოსული თქვენი N571/4-1/21 (26.01.2021 წ) წერილის (მერიაში რეგისტრაციის N:02-2421026224-24) პასუხად გაცნობებთ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია განათლების ხელშეწყობა. ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში ყოველ წელს რეაბილიტაცია უტარდება, როგორც საჯარო სკოლებს, ასევე საბავშვო ბაღებს, რათა უზრუნველყონ კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის სატრანსპორტო მომსახურება 43 საჯარო სკოლაში.

მუნიციპალური ტრანსპორტის საშეღავათო მომსახურებით სარგებლობენ: საჯარო სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლის და კოლეჯის სტუდენტები.

2. გასული წლის ბოლოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დაინერგა ახალი მიმართულება ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს დაემატა ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის ფუნქციაა მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა, ინფორმაციული მასალების მომზადება და გავრცელება, სოციალური მუშაკის ქსელში ჩართვა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა, მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება, კოორდინირებული მუშაობა ბავშვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა. პრიორიტეტული მიმართულებას წარმოადგენს პრევენცია და ბავშვთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილება.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წლიდან დანერგილია წარჩინებულ სტუდენტებზე მერის სტიპენდია, რომელიც ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებზე. (სულ 68 გოგო).

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტუდენტს, რომელიც სწავლობენ ქალაქგარეთ აკრედიტირებულ სასწავლო დაწესებულებაში, შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალური სოციალური დაცვის პროგრამით ტრანსპორტირების თანადაფინანსების სახით - 100 ლარიანი ფულადი გასაცემლით, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ სასწავლო დაწესებულებაში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის მგზავრობა უფასოა, რისთვისაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამზადდა სამგზავრო ბარათები.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია თანაბარი/ინკლუზიური გარემო უმაღლესი (აკადემიური) და პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის. სასწავლო

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას. უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ სტუდენტებს, იცავს მათ უფლებებს და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უთანაბრებს უმაღლესი პროგრამების სტუდენტებს. კერძოდ:

,,პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანების დებულება", მისი მიზნებია: დაიცვას და წარმოადგინოს თანაბრად უმაღლესი და პროფესიული სტუდენტების ინტერესები სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვასა და რეალიზებაში, ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტებს სოციალურ-კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში.

პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მიზანია თანაბრად, უმაღლესი და პროფესიული სტუდენტებისთვის სერვისების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

უწყვეტი განათლების ცენტრის დანიშნულებაა თანაბრად, უმაღლესი პროგრამებისა და პროფესიულ სტუდენტებს მისცეს საშუალება გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისთვის ასაკის შეუზღუდავად.

კარიერის განვითარების ცენტრის მიზანია მიაწოდოს თანაბრად, უმაღლესი პროგრამებისა და პროფესიულ სტუდენტებს კარიერული სერვისები, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განავითარონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები და გაიმდიდრონ გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას კარიერული წინსვლის პროცესში.

სასწავლო უნივერსიტეტში თანაბრად ხორციელდება, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული პროგრამების ნიჭიერი და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების წახალისება ფინანსური და სხვა სახის დახმარებით.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ე.წ. ,,ბავშვთა" ოთახი, რომელიც არის მხარდამჭერი მექანიზმი სტუდენტი დედებისთვის. ,,ბავშვთა ოთახები'' განთავსებულია სასწავლო კორპუსსა და საერთო საცხოვრებელში. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილია ადაპტირებული გარემო, ფუნქციონირებს ლიფტი.

5. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის თანაბრად პრიორიტეტულია უმაღლესი და პროფესიული განათლების განხორციელება და მისი განვითარბის ხელშეწყობა. 2016 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებაში. 2016-2020 წლებში ახორციელებდა „მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები)" მე-4 საფეხურის პროფესიულ პროგრამას კერძო სექტორთან თანამშრომლობით აღნიშნული სპეციალობით კურსდამთავრებულია 19 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 9 ქალი. 2019 წლიდან უნივერსიტეტმა დაიმატა დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა", რომელიც ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრთან" თანამშრომლობით სტუდენტების რაოდენობა 10, მათ შორის 8 ქალი.

უნივერსიტეტის ზუგდიდის ბაზაზე ფუნქციონირებს საერთო საცხოვრებელი, ხოლო სენაკის ბაზაზე მიმდინარეობს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები. საერთო საცხოვრებელით სარგებლობა შეუძლიათ მოწყვლად პირებს.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ 2020-2021 წლებში შეიძინა შშმ პირთათვის ადაპტირებული მუნიციპალური ავტობუსები 40 ერთეული, ასევე შშმ პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრობის ღირებულება შეადგენს მარშრუტზე დადგენილი ტარიფის ნახევარს.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისას გათავლისწინებული არის და იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და მოთხოვნილებები ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით. სამსახურმა ასევე იხელმძღვანელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2018-2019 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული გეგმით დადგენილი ვალდებულებების შესრულება. სამსახური მაქსიმალურად ითვალისწინებს შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარ შეღწევადობის სტანდარტების დაცვას და ახორციელებს საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულებაზე სამშენებლო კონტროლს.

ასევე შეძლებისდაგვარად ხორციელდება ძველი შენობა-ნაგებობების, დასასვენებელი ინფრასტრუქტურის და სხვა სივრცეების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემისას ითვალისწინებს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს, ხოლო პროექტის დადგენილებასთან შეუთავსლებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ასევე სანებართვო პირობების დარღვევისათვის იყენებს საჯარიმო სანქციებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის მიმართულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროგრამებს. მერიაში არსებულ კომისიებსა და საბჭოებში აქტიურად არიან ჩართულები, როგორც შშმ პირები, ასევე, შშმ პირთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. მერია ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებს, რაც არაერთხელ ასახულა სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებზე.

3. შშმ პირთა ოჯახის წევრებისათვის ხორციელდება სოციალური დაცვის პროგრამა მომვლელის საჭიროების მქონე პირთა ყოველთვიური 100 ლარიანი ფულადი დახმარების სახით.

4. შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი და აშენებულ-ადაპტირებულია კომპლექსური სპორტის სასახლე და ჭიდაობის დარბაზი. კომპლექსურ სპორტის სასახლეში გადის ვარჯიშებს ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“, რომელიც ატარებს შეჯიბრებებს და მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატში, გუნდი არის საქართველოს ჩემპიონი.

ჭადრაკის სასახლე ასევე ადაპტირებულია შშმ საჭიროებების შესაბამისად, კერძოდ: მოწყობილია პანდუსი, მე-2 სართულზე ასასვლელად კი მოწყობილია ლიფტი.

5. ქალაქის სხვადასხვა უბნებში კეთდება გარე სატრენაჟორო სავარჯიშო დანადგარები. ქალების ჩართულობა სხვადასხვა სპორტის სახეობებში შეადგენს 31%.

პატივისცემით,

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი